ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 235

24 მაისი
"___" _____ 2024 Წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №11-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.023, ნაკვეთი №009/023) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ფალიშვილის 11"-ის (ს/ნ. 404646111) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39[1] მუხლისა და „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №11-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.023, ნაკვეთი №009/023) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ფალიშვილის 11"-ის (ს/ნ. 404646111) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 მაისის №24.823.934 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ფალიშვილის 11"-ის (ს/ნ 404646111) მიმართ, მისამართზე - ქალაქ თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №11-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.023, ნაკვეთი №009/023) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5-დან 9.6-მდე;

ბ) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) გადამეტება 0.5-დან 0.9-მდე;

გ) გაუქმდეს მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური პარამეტრის დაცვის ვალდებულება;

დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სატრანსპორტო ზეგავლენის შეფასების წარმოდგენის გარეშე;

ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს შენობა - ნაგებობის განთავსებისა და სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

ვ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობასთან არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;

ზ) მიწის ნაკვეთს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის დაუდგინდეს ინდივიდუალური პარამეტრები;

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე